თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2013 წლის 25 იანვრის სხდომის ოქმი #1

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 24, სტუდენტები – 5, სულ – 30 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

2. სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (დანართი #1)

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

3. II საერთაშორისო კონფერენცია ***„ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება"*** ჩატარების შესახებ (2013 წლის 11-12 ოქტომბერი)

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

4. ფაკულტეტზე ჩატარებული კვლევის შედეგები.

/ სრ. პროფ. ნ. თოდუა/

5. აკადემიური ხარისხების მინიჭების შესახებ.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

6. მიმდინარე საკითხები

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ბატონმა აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი. დღის წესრიგში შევიდა ცვლილება: დღის წესრიგს დაემატა საკითხი ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ტურიზმის საბაკალავრო პროგრამებში ცვლილებების შესახებ. საკითხი დღის წესრიგში ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ.

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

მომხსენებელმა ბატონმა აკაკი ხელაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს მოქმედი მდივნის, ასოც. პროფ. ხათუნა ბარბაქაძის მიერ შემოვიდა განცხადება მისი მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შესახებ. ბატონმა აკაკი ხელაძემ მადლობა გადაუხადა ასოც. პროფ. ხათუნა ბარბაქაძეს გაწეული მუშაობისთვის და საბჭოს წევრებს წარუდგინა ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ახალი კანდიდატურა - ასოც. პროფ. მარინე ნაცვალაძე.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა, სრ. პროფ. რ. გველესიანმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მდივნად აირჩიეს ასოც. პროფ. მ. ნაცვალაძე.

მოისმინეს: სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (დანართი #1),(დანართი #2).

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

მომხსენებელმა ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს გააცნო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში 15-ე პუნქტის ცვლილებების შეტანის შესახებ, კერძოდ:

დებულებაში არსებული განმარტება დარჩეს უცვლელად (,,სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, ფარული კენჭისყრით თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 2 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით). და დაემატოს შემდეგი: ,,თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, გაიმართება მეორე ტური, სადაც გამარჯვებული გამოვლინდება უბრალო უმრავლესობით.

მეორე ტური ინიშნება იმავე დღეს. მეორე ტურში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ ის პრეტენდენტები, რომლებიც დარეგისტრირდნენ პირველ ტურში და რომლებმაც მიიღეს ხმების უმრავლესობა მეორე ტურში ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ინიშნება მესამე ტური.

მესამე ტურში გამარჯვებულის არ გამოვლენის შემთხვევაში, 2 კვირის ვადაში, ინიშნება ხელახალი არჩევნები. კენჭისყრის წინ იბეჭდება ბიულეტენები, რომლებიც საჯაროდ გადაეცემა ხმის დამთვლელ კომისიას იმ რაოდენობით, რა რაოდენობის წევრებიც მონაწილეობენ არჩევნებში.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ქ. მარშავამ, სრ. პროფ. თ. გველესიანმა, სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: 1. დებულებაში ***არსებული განმარტება დარჩეს უცვლელად*** („სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, ფარული კენჭისყრით თავისი შემადგენლობიდან ირჩევს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო 2 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).

და დაემატოს შემდეგი: „თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს ხმათა საჭირო რაოდენობას, გაიმართება მეორე ტური, სადაც გამარჯვებული გამოვლინდება უბრალო უმრავლესობით. მეორე ტური ინიშნება იმავე დღეს. მეორე ტურში მონაწილეობას იღებს ***მხოლოდ საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი,*** რომლებიც დარეგისტრირდნენ ***პირველ ტურში. მეორე ტურში*** ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ინიშნება მესამე ტური. მესამე ტურში გამარჯვებულის არ გამოვლენის შემთხვევაში, 2 კვირის ვადაში, ინიშნება ხელახალი არჩევნები.

კენჭისყრის წინ იბეჭდება ბიულეტენები, რომლებიც საჯაროდ გადაეცემა ხმის დამთვლელ კომისიას იმ რაოდენობით, რა რაოდენობის წევრებიც იღებენ მონაწილეობას არჩევნებში.

2. აღნიშნულის დამტკიცება ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე II საერთაშორისო კონფერენციის **„ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება"** ჩატარების შესახებ (2013 წლის 11-12 ოქტომბერი).

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

მომხსენებელმა, ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს გააცნო ინფორმაცია აღნიშნული კონფერენციის შესახებ, რომლის ორგანიზატორები არიან: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი. მხარდამჭერები: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ციურიხის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. თ. შენგელიამ, სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ, სრ. პროფ. ნ. თოდუამ, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდეს II საერთაშორისო კონფერენცია: **„ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება"** (11.10.-12.10, 2013).

მოისმინეს: ინფორმაცია თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2013 წლის 7 თებერვალს სტუდენტთა კონფერენციის: **„ქართული ეკონომიკური რეალობა და განვითარების პერსპექტივები"** ჩატარების შესახებ.
/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

მომხსენებელმა ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს გააცნო ინფორმაცია აღნიშნული კონფერენციის შესახებ, რადგან, ახალი წესის მიხედვით საბჭომ უნდა განიხილოს კონფერენციის ჩატარების შესაძლებლობა.

აზრი გამოთქვეს: დეკანმა, ბატონმა აკაკი ხელაძემ, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ჩატარდეს სტუდენტთა კონფერენცია: **„ქართული ეკონომიკური რეალობა და განვითარების პერსპექტივები."** (2013 წლის 7 თებერვალი).

მოისმინეს: დეკანის ბატონი აკაკი ხელაძის ინფორმაცია **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლებისადმი სტუდენტთა დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევის შესახებ.**

დეკანმა, ბატონმა აკაკი ხელაძემ მადლობა გადაუხადა პროექტში ჩართულ პროფესორებს და ორგანიზატორებს. მან აღნიშნა, რომ კვლევის ჩატარების მიზანი იმ რეალური სურათის დანახვა იყო, რაც ამჟამად არის ფაკულტეტზე და რაც სტუდენტებისთვის აქტუალურია. დეკანმა სრულ პროფესორს ნ. თოდუას სთხოვა კოლეგებს გააცნოს კვლევის ძირითადი შედეგები. პრეზენტაციისთვის განისაზღვრა 10 წუთი.

სრულმა პროფ. ნ. თოდუამ მადლობა გადაუხადა ფაკულტეტის დეკანს პროექტის იდეისთვის და მისი განხორციელების პროცესში გაწეული დახმარებისთვის. სრულმა პროფ. ნ. თოდუამ აღწერა კვლევის მეთოდოლოგია, მიზანი, ამოცანები, კვლევის დიზაინი და კვლევის შედეგები, ძირითადი მიგნებები და დასკვნები.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ, სრ. პროფ. რ. გვლესიანმა, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა.

ვინაიდან აღნიშნულ კვლევასთან დაკავშირებით გაჩნდა ბევრი კითხვა, დეკანი, ბატონი აკაკი ხელაძე გამოვიდა ინიციატივით - კვლევის პრეზენტაცია დაეგზავნოს საბჭს წევრებს, მომზადდეს კომენტარები, კითხვები და შემდეგ საბჭოს სხდომაზე გავიდეს განხილვის რეჟიმში.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული ახალი სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დამტკიცების შესახებ.

დეკანმა, ბატონმა აკაკი ხელაძემ აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებულმა სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარემ, სრულმა პროფესორმა ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა დეკანს მიმართა ახალი სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დამტკიცების წინადადებით, რადგან 2012 წელს აკადემიური კონკურსის შემდგომ, უნდა მოხდეს მისი ხელახლა დამტკიცება. დეკანმა საბჭს წევრებს გააცნო არსებული საბჭოს შემადგენლობა და სურვილის შემთხვევაში ახალი საბჭოს წევრების დამატება სთხოვა. დასახელდა ორი კანდიდატურა: სრ. პროფ. ი. მესხია და სრ. პროფ. ქ. მარშავა.

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. ე. მექვაბიშვილმა, სრ. პროფ. მ. მარგველაშვილმა, ასოც. პროფ. ი. ჭილაძემ, ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძემ, ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილმა, სრ. პროფ. ე. ხარაიშვილმა, სრ. პროფ. ი. ანანიაშვილმა, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა.

დეკანმა, ბატონი აკაკი ხელაძემ საბჭოს წევრებს შესთავაზა სარედაქციო–საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტების ორი ვარიანტი: 1. სრული პროფესორიების ი. მესხიასა და ქ. მარშავას საბჭოში დამატების საკითხი; 2. კათედრებზე წერილის დაგზავნა, რათა კათედრებმა წარმოადგინონ თავისი კანდიდატურები.

გაიმართა კენჭისყრა (პირველ ვარიანტზე)
კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;
წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებულ სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს დაემატოს ორი სრული პროფესორი - ი. მესხია და ქ. მარშავა.

მოისმინეს: ინფორმაცია აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ;
(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი)

ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ კვალიფიკაციის მინიჭების საკითხზე ერთი სტუდენტის კანდიდატურა იყო წარმოდგენილი, მაგრამ რადგან პროცედურა დამტკიცდა, არ გვქონდა ზუსტი ინფორმაცია ამ სტუდენტის შესახებ, ამიტომ ამ ერთი სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ საკითხი შემდგომი საბჭოს სხდომისთვის უნდა გადავიტანოთ.

აღნიშნული ინფორმაცია მიღებულ იქნა ცნობად.

მოისმინეს: ინფორმაცია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით - ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში ,,ეკონომიკა“, ,,ტურიზმი“ და ,,ბიზნესის ადმინისტრირება“.

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ე. ლეკაშვილი/

ე. ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ეს პროცესი დაიწყო 12 სექტემბრიდან. ამ პერიოდში ეტაპობრივად მიმდინარეობდა საბაკალავრო პროგრამების ცვლილებების საკითხის განხილვა უშუალოდ კათედრებზე. ცალკეულ კათედრაზე იქნა განხილული სამივე საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა, გარკვეული თვალსაზრისები იქნა წარმოდგენილი, შემდგომ პროგრამის ხელმძღვანელებს, მოდულის ხელმძღვანელებს ჰქონდათ შეხვედრა, სადაც კიდევ ერთხელ განიხილეს და შეაჯერეს კათედრებიდან წარმოდგენილი თვალსაზრისები და შემდგომ უკვე შეჯერებული ვარიანტები ოქმის სახით შემოვიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

ე. ლეკაშვილმა სამივე საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებაში ცვლილებები გააცნო საბჭოს წევრებს (დანართი #1) (დანართი #2)(დანართი #3).

აზრი გამოთქვეს: სრ. პროფ. გ. ღაღანიძემ, სრ. პროფ. ნ. თოდუამ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა განსხვავებული თვალსაზრისები. საბჭოს თავმჯდომარის თვალსაზრისით, ვინაიდან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებით არსებობს კითხვები, საბაკალავრო პროგრამებში – ,,ეკონომიკა“, ,,ტურიზმი“ და ,,ბიზნესის ადმინისტრირება“ ცვლილებების საკითხი განხილულ იქნას საბჭოს შემდგომ სხდომაზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ა. ხელაძე

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,

ასოცირებული პროფესორი: მ. ნაცვალაძე